საიდ. №75688/03

IR 1096453

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №54-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „დილგოუვ ლიმიტიდ“ (DEALGROVE LIMITED) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №54-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 09 თებერვლის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №573/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ИНВИТРО” (საიდ. №75688/03, IR 1096453) დაცვის მინიჭება საქართველში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5, მე-10 და 44-ე კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 09 თებერვლის №573/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „ИНВИТРО" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული საქონლის და მომსახურების ჩამონათვალის მიმართ. ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა დამოკიდებულია მომხმარებლის შესაძლებლობაზე, განასხვაოს ერთი მწარმოებლის საქონელი/მომსახურება მეორე მწარმოებლის საქონლისგან/მომსახურებისგან. სასაქონლო ნიშანი შეიცავს სამედიცინო სფეროში დამკვიდრებულ ტერმინს „ИНВИТРО", რაც ნიშნავს იზოლირებული უჯრედების, ინდივიდუალური სტრუქტურების ან სხვა ქსოვილების და მცენარის ორგანოების გაზრდას ხელოვნურ გარემოში, სტერილურ პირობებში. აღნიშნული ტერმინი ვერ მისცემს მომხმარებელს საქონლის მწარმოებლის იდეტიფიცირების საშუალებას, ვინაიდან „ИНВИТРО" სამედიცინო სფეროსთვის განცხადებულ საქონელს და მომსახურებას არ სძენს განმასხვავებელუნარიანობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „დილგოუვ ლიმიტიდ" (DEALGROVE LIMITED) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებულ ნიშანს არამართებულად ეთქვა უარი დაცვაზე, საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, ვინაიდან მას არ დაუპირისპირდა არც ერთი სასაქონლო ნიშანი, რომლის მიმართ ის

იდენტური ან მსგავსი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, დასკვნა იმის თაობაზე, რომ მას არ გააჩნია განმასხვავებელუნარიანობა შესაბამისი საქონლის მიმართ საფუძველს მოკლებულია. სამედიცინო დარგში ცნობილია ტერმინი „in vitro“ (შუშაში, სინჯარაში, ანუ უჯრედების კულტურაზე და არა უშუალოდ ცოცხალ ორგანიზმზე ჩატარებული ცდები), რაც არანაირად არ მიუთითებს საქონელის რაიმე მახასიათებელზე და ამდენად, ისეთი არგუმენტის მოყვანა, რომ ის არაგანმასხვავებელუნარიანია განცხადებული საქონლის მიმართ, უსაფუძვლოა. აპელანტის პოზიციით, წარმოდგენილი სახით ნიშანი „ИНВИТРО” კარგავს იმ აზრობრივ დატვირთვას, რაც ახასიათებს ზოგადად „in vitro”-ს, ვინაიდან ის წარმოადგენს ხელოვნურ სიტყვას, აზრობრივი დატვირთვის გარეშე და შესრულებულია სტანდარტული შრიფტით. ხოლო ტერმინი „in vitro” შედგება ორი სიტყვისგან და სამეცნიერო ლიტერატურაში იწერება კურსივი შრიფტით. აქედან გამომდინარე, მომხმარებელს არ გაუჩნდება ის შთაბეჭდილება, რაზეც ყურადღება გამახვილებულია ექსპერტიზის დასკვნაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 09 თებერვლის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №573/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ИНВИТРО” (საიდ. №75688/03, IR 1096453) დაცვის მინიჭებას საქართველში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ

რეგისტრირდება, თუ იგი „არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ИНВИТРО” (საიდ. №75688/03, IR 1096453) მე-5, მე-10 და 44-ე კლასის საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის მიმართ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან სიმბოლოს, რადგან ტერმინი „in vitro“ (ინ ვიტრო) წარმოადგენს სამედიცინო და ბიოლოგიურ სფეროში საყოველთაოდ ცნობილ ტერმინს, რომელიც გულისხმობს ქმედებას ორგანიზმს გარეთ. აღნიშნული ტერმინი წარმოადგენს ერთგვარ მეთოდს, რომელსაც ფართოდ იყენებენ სამედიცინო სფეროში. მართალია, განცხადებული ნიშანი ჩაწერილია ერთ სიტყვად „ИНВИТРО“, მაგრამ იგი ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით უკავშირდება სწორედ სამედიცინო სფეროში საყოველთაოდ ცნობილ ტერმინს „in vitro“-ს. შესაბამისად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენს ფანტაზიურ სასაქონლო ნიშანს და იგი არაგანმასხვავებელუნარიანია, შესაბამისი საქონლისა და მომსახურების მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ИНВИТРО” (საიდ. №75688/03, IR 1096453) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „დილგოუვ ლიმიტიდ“ (DEALGROVE LIMITED) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 09 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „ИНВИТРО” (საიდ. №75688/03, IR 1096453) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №573/03 ბრძანება.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ს. დუმბაძე

მ. ჭიჭინაძე